საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 358/ს
26/09/2022

358-21-4-202209261757

**ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, შპს „ეტალონის“ სასარგებლო წიაღისეულის (ტორფის) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 26-ე პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, შპს „ეტალონის“ სასარგებლო წიაღისეულის (ტორფის) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკოპინგის დასკვნა N59;
2. შპს „ეტალონი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N59 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეტალონს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეტალონს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო